საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №177/18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 21 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის №177/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- სასამართლოს მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

შპს --, შპს -- და -- -- კუთვნილ კომპანიას შორის, გაფორმებულია ხელშეკრულებები წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები შემდგომში მტკიცებულების სახით წარდგენილია სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ.

მომჩივანი განმარტავს, რომ შპს --, შპს -- და შპს -- პირადი დაინტერესება გააჩნდა -- --. მომჩივანი მიუთითებს, რომ -- -- ოჯახის წევრების კუთვნილ კომპანიას წარმოადგენდა შპს --, რომელთანაც ზემოაღნიშნულ კომპანიებს არაერთი სამართლებრივი დავა ჰქონდათ როგორც, კონკურენციის სააგენტოში, ასევე სასამართლოში. ასევე, საჩივარში აღნიშნულია, რომ თავის მხრივ, -- -- ახლომეგობრული ურთიერთობა აკავშირებს მოსამართლე -- --, რომელიც მოსამართლედ გამწესებამდე ასევე იყო მისი თანამშრომელი. აღნიშნულის გამო, მომჩივანს მიაჩნია, რომ ვინაიდან წარდგენილი მტკიცებულებების (ხელშეკრულებები) საფუძველზე, მოსამართლე -- -- ცნობილი იყო მისი და -- -- შემხებლობა ზემოაღნიშნულ კომპანიებთან, მოსამართლეს უნდა დაეცვა საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი. მისივე მოსაზრებით, მოსამართლეს საქმეზე უნდა განეცხადებინა თვითაცილება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით -- -- ცნობილია დამნაშავედ:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, -- -- საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 6 თებერვლიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 08 მაისის განჩინებით, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა, სააპელაციო საჩივრის გახმობის თაობაზე, რის საფუძველზეც, საქმეზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 21 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ: „ა.ა) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქციით)

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის განმტკიცების თვალსაზრისით.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევალათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე.

ყველა შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობის ღირსებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სამოსამართლო ინსტიტუციების მიმართ.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია,

და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

მომჩივანი სადაოდ ხდის მოსამართლე -- -- მიკერძოებას, მისი -- -- ახლომეგობრული ურთიერთობისა და ასევე იმ საფუძვლით, რომ მოსამართლედ გამწესებამდე -- -- იყო -- -- თანამშრომელი.

წარმოდგენილ პრეტენზიაზე მსჯელობისათვის, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის მიხედვით, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა, სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria; Wettstein v. Switzerland*). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის (ობიექტური ტესტი) მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა სთავაზობდეს საზოგადოებას საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით (*Pullar v. the United Kingdom*).

ობიექტურობის შეფასებისთვის, კერძოდ, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი[1]. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას.

მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს.

[1] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში. დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა თურქული კომპანია შპს -- (--) მიმართ და -- -- მსჯავრი დაედო თაღლითური გზით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით კომპანია -- კუთვნილი 60,000 აშშ დოლარის დაუფლებისთვის. აღსანიშნავია, რომ სს საქმის ფაქტობრივი გარემოებებით არ დასტურდება შპს -- რაიმე სახის კავშირი არც, შპს --, შპს -- და არც, შპს --, მით უფრო, -- --. ის გარემოება კი, რომ სამართლებრივ დავებში შპს -- და შპს -- მოწინააღმდეგე კომპანიების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოცემულობაში ახორციელებდა -- --, წარმოადგენს ზოგად თეორიულ, აბსტრაქტულ შესაძლებლობას, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან შპს -- ინტერესების შემხებლობაზე.

შესაბამისად, არსებული ვარაუდი და მოცემულობა, გარეშე დამკვირვებლისთვის „მომეტებული ალბათობის“ ხარისხით არ იძლევა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ სადავო ფაქტს შესაძლოა შედეგად გამოეწვია საქმეზე არაობიექტური სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. დაცვის მხარის მოსაზრება ამ კუთხით არ იწვევს „საფუძვლიან ეჭვს“ მოსამართლე -- -- მიკერძოებულობაზე.

ამდენად, მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №177/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი